ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 02

2021 წელი 9 დეკემბერი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2021 წლის 9 დეკემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, ირინა ტყეშელაშვილი, გურამი ჩხეიძე, მურად ბურჯანაძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, ზაზა ზივზივაძე, დიომიდე კიკნაველიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, შადიმან გორგოძე, ჯუმბერ რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, მაკა მესხი, ნინო ფურცელაძე, ზვიად გუმბერიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ნინო კვირიკაძე, კახა კოხოძე.

სულ: 24 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ირაკლი გოგსაძე, ალექსანდრე ფახურიძე

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მანაველ კვირიკაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და პროექტირების კორდინატორი, განყოფილების უფროსი.

ვაჟა ჩაფიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ქეთევან გოგია - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე.

სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

ნ. გიორგიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ „შემოსულია მუნიციპალიტეტის მერის მომართვა რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე, ასევე საკრებულოსაც აქვს რამდენიმე აუცილებელი საკითხი განსახილველი.“

დღის წესრიგი

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. მანაველ კვირიკაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და პროექტირების კორდინატორი, განყოფილების უფროსი.
2.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.
მომხს. ვაჟა ჩაფიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.
თანამომხსე. მურად ბურჯანაძე -საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
3.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:
დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 24 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.
მანაველ კვირიკაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და პროექტირების კორდინატორი, განყოფილების უფროსი, მან წარმოადგინა ნუსხა იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომელიც წარდგენილი იქნება 2022 წლის დაფინანსებაზე.
აზრი გამოთქვეს: თორნიკე გაჩეჩილაძემ, დიომიდე კიკნაველიძემ, ვლადიმერ წიქორიძემ, ნოდარ გიორგიძემ.
დიომიდე კიკნაველიძე-მაჟორიტარი საკრებულოს წევრი ზეგან-საკრაულას მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, იგი დაინტერესდა თუ რატომ არ იყო ჩამონათვალში საკრაულას შიდა საუბნო გზა.
ვლადიმერ წიქორიძე -ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მან დააზუსტა სოფ. ფერსათში ე.წ. ენდელაძეების შესახვევიდან გის მოწყობის საკითხებით.
მ. კვირიკაშვილმა უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს.
საკითხის საკრებულოს შესაბამის კომისიაზე განხილვის შედეგებზე ისაუბრა საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის **თავმჯდომარემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ,** მანვე წარმოადგინა კომისიის დასკვნა.
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 80 განკარგულება: g-67.67213431 თარიღი: 09/12/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-24 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების შედეგები სხდომას წარუდგინა ვაჟა ჩაფიძემ- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.
აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძემ, მაია კბილაშვილმა, ირინა ტყეშელაშვილმა, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარ გიორგიძემ.
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დასკვნა სხდომას გააცნო- მურად ბურჯანაძემ, ამავე კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

ცნობად იქნეს მიღებული მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში მესამე კვარტლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების პროექტი ბიუროს წევრებს წარუდგინა: გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომა **ადგენს:**
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 20 დადგენილება:დ-67.67213431 თარიღი:09/12/2021. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 24 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**